რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ტფილისი

ამ მიმდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ"

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი", შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი დირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели".

ქართულ და დაღისტნურ ღვინოების სამრეწველო-სავაჭრო ფირმა

ანკარა

ა. თურქესტანიშვილისა და მის დისწულის გ. თოიძისა.
(პორტ-პეტროვსკაში)

იწვევს ამხანაგებათ ამ საქმეში მონაწილეობის მიღების მსურველთ; საწევრო გარდასახადი 500 მანათია, რომელიც შეიძლება წვრილ-წვრილათაც გადაიხადონ. დაწვრილებითი პირობის შეტყობის მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით:

Портъ-Петровскъ. Владѣльцу фирмы „Анкара", Гр. Ив. Тоидзе.

P. S. ამხანაგობას ჰსურს, თუ საკმარისი თანხა შეუდგა, ტფილისში გაჰმართოს თავისი განყოფილება. შეიძლება რამდენიმე პაის შეძენა. (4—1)

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს კალენდარი"

1897 წ.

ყველა წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება 20-იანვრიდან ჯერ ტფილისში და მერე ქალაქ გარეშე ნელ-ნელა, ერთის კვირის განმავლობაში.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა დებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომშ. სურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას- ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, анu Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—25)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 22 იანვარს, 1897 წ.
ბენეფისი კ. ყიფიანისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. საფაროვ-აბაშიძისა, აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I

ვენეციელი ვაჭარი

დრ. 4 მოქმედებად, 5 სურ. შექსპირისა, თარგ. დიმიტრი ყიფიანისა.

II

უბედური დღე

ვოდ. 1 მოქმედებად ბალანჩივაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვ-აბაშიძისა, გამყრელიძისა, კარგარელი, კუნდელი და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ნემო, ბალანჩივაძე, ადამიძე, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

„ახალი მკითხველი"

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემაზე.

ფასი მთელი წლისა 3 მანათი. შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.

ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель". Ивану Павловичу Ростомову.* (30—14)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ე. ი. ბაბანასიანცი—დილის 10 ს. ქალითა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და ½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ბროტასკეიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასკეიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. ბ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. ბ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

ვექილი

გ. ბ. გვაზავა

კისრულობ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.

(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—11)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").
19 იანვარი.

პეტერბურგი, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან 65,000 მანათი პეტერბურგის დედათა საექიმო ინსტიტუტის კომიტეტს, რათა ამ მიმდინარე წელს ამავე ინსტიტუტში დაარსდეს მოსწავლე ქალთათვის საზოგადო საცხოვრებელი.

პარიზი. „Matin"-ი ამბობს, რომ ანოტოსა და მურავიოვის მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა დიდი მოქმედება იქონია სადიპლომატო კორპუსზე და მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „Goulois"-ის სიტყვით, ეს სადღეგრძელოები საფრანგეთსა და რუსეთს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების მომასწავებელია, ვიდრე იყო როდისმე.

ბერლინი. გრაფ მურავიევის მოსვლის გამო „ჩრდილო გერმ. გაზეთი" სწერს, რომ თავისის დიპლომატიურის მოღვაწეობის დროს გრაფმა დიდს ხანს დაჰყო ბერლინში და იქ მრავალი მეგობარი მოიპოვა. იმპერატორთან ყოფნის და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკების დროს გრაფი დარწმუნდება, რომ ამ ჟამად, ისე როგორც წინადაც, ძალიან ცოტაა ისეთი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის გერმანიისა და რუსეთის გარეშე პოლიტიკის საგანთა ერთობას.

ბერლინი. გრ. მურავიევს მიეგებნენ რუსეთის ელჩი და საელჩოს წევრნი. რუსეთის საელჩოში სადამოს სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც მიწვეულნი იქმნენ: იმპერიის კანცლერი, მარშალი და მრავალნი წარჩინებულნი. სადილს შემდეგ საელჩოში დიპლომატები ყოფილან გრაფთან. კვირას იმპერიის კანცლერი გრაფის პატივსაცემლად გამართავს სადღესასწაულო სადილს, რომლის შემდეგ გრაფი გაემგზავრება კილში, საცა მას იმპერატორი მიიღებს სადარბაზოდ.

კილი. პრინცი ჰენრიხი მონათლულ იქმნა.

ვენა. ვენის ერთი გაზეთის მეთაური ამბობს: „ანოტოსი და გრ. მურავიევის გუშინდელი სადღეგრძელოები კიდევ ერთი საბუთია იმისი, რაზედაც სადიპლომატო წრეებში ეჭვი არასოდეს ჰქონიათ; სახელდობრ იმისი, რომ მურავიევის პარიზში მისვლას აზრად გერმანიის საწინაამდეგო არა აქვს-რა, არამედ გამომეტყველია საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრულის დამოკიდებულებისა. სადღეგრძელოებში ის აზრი იყო გატარებული, რომელიც ეხლა მთელს ევროპაშია მოდებული, აზრი მშვიდობიანობის სიმტკიცისა, რომლისათვისაც დღეს მთელი ევროპა ზრუნავს.

რომი. აგორდატიდგან იუწყებიან, რომ დერვიშები, რომელთაც იტალიიდგან ყურს ადევნებენ, უკან იწევენ და მდინარე გასკს გადავიდნენ. დერვიშების მიერ ამიდებთან აგებული სიმაგრეები იტალიელებმა დაანგრიეს.

ლონდონი. «Times»-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან, რომ სულთანი დასთანხმდა ოტომანის ბანკის პირობებზედ, და 250,000 გირ. სტერ. სესხის ხელშეკრულება ხელმოწერილია.

კონსტანტინეპოლი. გამოვიდა სულთანის ირადე იმის შესახებ, რომ ნაპირების დასაცველად სტაციონერებს მიემატოს რამოდენიმე ჯავშნიანი გემი და გაძლიერდეს დარაჯი ევროპისა და აზიის მხრის ნაპირების დასაცველად.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეების გამო შემდგარმა სენატის კომისიამ, 6 ხმით წინაამდეგ 4-ს, შეიწყნარა მედიატორეთა დადგენილება ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის. დადგენილება შესწორებულია უმთავრესად რედაქციის მხრით. ის მუხლი, რომელიც შეეხება შვეციის მეფის მედიატორედ დანიშვნას, შეცვლილია სხვა მუხლით, რომელშიაც ნათქვამია, რომ როცა საჭიროდ დაინახავს, ორივე სახელმწიფო ირჩევს მედიატორესაო. შემდეგ, პირველ მუხლს მიმატებული აქვს შენიშვნა, რომლის ძალითაკ არც ერთი საგანი, რომელიც-კი შეეხება ორივე სახელმწიფოების გარეშე ანუ შინაგან პოლიტიკას, ხელ-შეკრულობაში მოხსენებულ ანუ სხვა გვარად განწეს-რიგებული, არ ექვემდებარება მედიატორეთა სამართალს, თუ ყოველს შემთხვევაში ამის შესახებ განსაკუთრებული მორიგება არ

მოუხდა ამ ორს სახელმწიფოს შორის.

ქაირო. დოლგონსა და ომდურმას შუა მდებარე უდაბურ ადგილებში დერვიშების აქლემოსანი ჯარი გამოჩნდა; ამბობენ, რომ ამ ჯარს აზრად აქვს დაარბიოს ეგვიპტელების მოკავშირე ტომები. როგორც ეტყობა, ამ გვარისავე აზრით დერვიშების მცირე რაზმი მიუახლოვდა აღმოსავლეთის მხრით ბერავს.

ახალი ამბავი

⁂ **თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის 40 წლის იუბილეი.** ჩვენს რედაქციას ამ ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მრავალი წერილები და დეპეშები მოსდის, რომლებშიაც გვეკითხებიან: მართალია თუ არა, რომ წელს უსრულდება ილია ჭავჭავაძეს ორმოცი წლის მოღვაწეობა საზოგადო და სალიტერატურო ასპარეზზე და როდის აპირებენ ამ შესანიშნავ დღის დღესასწაულსო.

ჩვენ სიამოვნებით ვაცნობებთ ყველას, რომ წელს მართლა ორმოცი წელიწადი სრულდება (თუ არ მეტი), რაც ჩვენი სახელოვანი პოეტი და საუკეთესო მამულიშვილი მოღვაწეობს საქართველოს ერის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება ამ დიდს დღესასწაულს, ყველანი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ქართველობა შესაფერის პატივისცემით გადაიხდის ამ საყურადღებო დღესასწაულს მთელის საქართველოსათვის, და ამიტომ ჯერ-ჯერობით აჩქარება სრულიად საჭირო არ არის, რადგან ჯერ არც დღეა ამორჩეული ამისათვის. ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლიან ვაუწყოთ მკითხველებს, რომ ამ საგანზე უკვე მზადება არის და საცაა საიუბილეო კომიტეტიც დაარსდება, რომელსაც მიენდობა გამგებლობა და თავდარიგის გაწევა. დღესასწაულის გადახდას, როგორც გვესმის, აპირობენ სამისთვის შემდეგ, ნაალდგომევს, გაზაფხულზე. ამ დღეებში კრებაა ამ დღესასწაულის გამო და საზოგადოთ ამ საგანზე ჩვენ ყოველიფერს დაწვრილებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

⁂ კვირას, 19 იანვარს, ნაშუადღევის $12^{1}/_{2}$ საათზე გარდაიცვალა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი დავით გრიგოლის ძე ჭრელაშვილი. განსვენებული დეკანოზი დავითი იყო შვილი ქვაშვეთისავე დეკანოზის გრიგოლ ჭრელაშვილისა.

⁂ **იაკობ ლაზარაშვილი,** ახალგაზრდა ავტორი პიესისა «მტარვალი“, ეს სამი თვეა, რაც ავად გახდა და ახლა კი ისეთ ნაირად შეიქმნა, რომ ექიმებმა გაგზავნეს სოფელში ჰავის გამოსაცვლელად. ლაზარიაშვილი მასწავლებლად იყო ფრანგების სკოლაში. ავადმყოფობის გამო თავი დაუნებებია სამსახურისათვის და ეხლა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

⁂ **ბ-ნი ვრასსკის გამგზავრება ქუთაისსა და ბათომში.** პალატის უფროსი თავმჯდომარე ვრასსკი 21 იანვარს, სამშაბათს მატარებელ № 3-ით მიდის ქუთაისში და იქიდან 22 იანვარს წავა ბათომში სასამართლოების დასათვალიერებლად.

⁂ **ქალაქის სახლი.** გოლოვინის პროსპექტზედ ქალაქის საკუთრებას შეადგენს სახლი, რომელშიაც იმყოფება, ეგრედ წოდებული, ტფილისის „კრუჟოკი“. წლიურს ქირას „კრუჟოკი“ იხდის 9000 მანათს. ქირავნობის ვადა თავდება მერმის. მოლაპარაკება ჰქონდა ქალაქის გამგეობას „კრუჟოკთან», რომ კვლავ ათის წლის ვადით დაექირავებინა ეს სახლი; მაგრამ, რადგან შენობა სივიწროის გამო ვერ აკმაყოფილებს წევრთა რაოდენობის საჭიროებას, ამიტომ „კრუჟოკის“ მოთავეებმა გინიზრახეს ახალის შენობის დაჭერა; ბევრის უნაყოფო ძებნის შემდეგ, ლაპარაკი ჩამოვარდა მასზედ, რომ ააშენონ სრულებით ახალი სახლი ქალაქის სადმე შუაგულ ადგილზედ; მაგრამ არც ამ ლაპარაკიდან გამოვიდა რამე. ეხლა «კრუჟოკი“ სთხოვს ქალაქის გამგეობას— სამის წლით კიდევ მოგვეცით თქვენი სახლი, რომ ამ ხნის განმავლობაში ან ახალი შენობა ვიშოვნოთ სადმე და გადავიდეთ, ან არა და იქნება ქალაქის სახლის სამეზობლო შენობებში გადავიტანოთ ზოგიერთი „კრუჟოკის» დაწესებულებათაგანიო და მაშინ ხანგრძლივის კონტრაქტით შეგეკვრებითო. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და გამოუცხადა თავისი თანხმობა ხელ-წერილის ვადის გაგრძელებაზედ წელიწადში 9000 მანათად.

⁂ **დრ. „და-ძმა“ სომხურ ენაზე.** ბ-ნს დ. ტერ-დავითიანცს სომხურად უთარგმნია ვ. გუნიას ისტორიული დრამა სამეგრელოს ცხოვრებიდამ „და-ძმა“. ეს დრამა უნდა ითამაშონ მომავალ დიდმარხვის პირველ კვირებში.

⁂ **სოხუმის ქალაქის არჩევნების საქმე,** როგორც გავიგეთ, განხილულ იქმნა და ამ მოკლე ხანში გადასწყდება: დამტკიცდეს შარშან თებერვალში არჩეულ ხმოსანთა სია, თუ ხელ-ახალი არჩევნები დაინიშნოს.

⁂ **ბათომის ნავთის ქარხნების გადატანა.** 22 ამა თვისას ქ. ტფილისში შეერთებულს კომისიას სხდომა ექმნება და უნდა გადაწყდეს ბათომიდან ნავთის ქარხნების გადატანის საქმე ქალაქის განაპირად, თამარის ციხის მიდამოებში.

⁂ **ჩვენი გაცუდება.** გაზეთ „ივერიში“ არუთინოვის საჩივრის გამო („სამტრედოს“ სასტუმროს პატრონია), რომელიც ჩვენ გაზეთ № 88-შია მოყვალი სწერია: „უკადრისობა ჩვენს თვალწინ მალაყ გადადის, საჭიროდაც არა ხადის თავი მაინც დაიმალოს, გამოდის საქვეყნოდ და ჩვენც პირში შევცინით, ვითომდა აქ ძირი არ ულპებოდეს ჩვენს კეთილ დღეობას, ჩვენს კაცურ-კაცობას... ეს ჩვენი ქვეყანა ბაზარია, საცა სინიდისის გამყიდველსაც შოულობს კაცი და მსყიდველსაცა?.. ვინღა ვართ და რანილა ვართ? რა პირით ვეჩვენოთ ქვეყანას?.. აი აქ არის ის ჭია, რომელიც ძირს გამოურღნის ჩვენს ცხოვრებას და დედამიწის ზურგიდგან ღგვის. ქვეყანა სილარობეს გაუძლებს, ხოლო საცა ზნეობა აღარ არის, იქ არც ქვეყანაა არც ერია“!

⁂ **ბ-ნ დზერჟანოვსკის მოხსენება:** ქალაქის ინჟინერად ნამყოფმა დზერჟანოვსკიმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება, რომელშიაც სხვათა-შორის სწერია: „იმ ჯამაგირით, რომელსაც ეხლა ქალაქის გამგეობა იძლევა, სამსახური შეუძლიანთ მხოლოდ იმ ტეხნიკებს: 1) ვისაც სიმდიდრე აქვს და ამიტომ სამსახურს არაფრად აფასებს; 2) ვისაც სხვა საქმე აქვს და ქალაქის გამგეობაში მხოლოდ სახელის გულისათვის მსახურობს, 2) ვისაც საჭირო სწავლა არ მიუღია და ამიტომ ვერსად ვერ იშოვის ადგილს.

დზერჟანოვსკის აზრით, საჭიროა ქალაქის თვით მმართველობამ გადასდოს 26,520 მანათი გამგეობის სატეხნიკო განყოფილებისთვის. ეხლა კი გამგეობა მხოლოდ 17,090 მანათსა ხარჯავს წელიწადში.

⁂ **სოხუმი. სამღვდელოების კრება.** სოხუმიდამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ დანიშნულია 23 იანვრისათვის საეპარქიო კრება სამღვდელოებისა სხვა და სხვა თავიანთ საჭირ-ბოროტო საგნებზედ მოსალაპარაკებლად.

⁂ **სად. განყ. მკვლელობა.** 20 იანვარს, დილით ექვსი საათის ნახევარზე, მოსამსახურეთა სადგომ სახლის № 8-ის აივანზე ვიღაც ბოროტმოქმედთა ორჯერ ესროლეს თოფი და იქვე მოკლეს ტელეგრაფის მოხელე ტფილისის მცხოვრები ვიკტორ რიხტერი, 21 წლის ყმაწვილი. განსვენებული სანადიროთ ყოფილა და მატარებლით დაბრუნებულა; როდესაც სადგურიდგან თავის ოთახში მიდიოდა, დაინახა რომ მის მეზობლის სახლიდან ქურდებს ნივთები გაჰქონდათ და ვინაობას რომ დაეკითხა, ქურდებმა იფიქრეს, ეს არის დაგვიჭირაო და თოფი ესროლეს. მკვლელები გაიქცნენ, გამოძიება სწარმოებს.

⁂ **ხაშური.** ამას წინეთ მოხსენებულ იყო «ცნობის ფურცელში“, რომ ხაშურში ე. ხ—ძეს ქეიფის დროს წაეჩხუბნენ სარდაფში რამდენიმე ოსი და ცემა დაუწყესო. მერე, როდესაც ხ. გაიქცა გარეთ, ერთი ოსი დასჭრა რევოლვერითო; აი დაწვრილებითი ცნობა ამ საქმის შესახებ: ოცდა ექვსს დეკემბერს ე. ხ. და რამდენიმე სხვა ყმაწვილები მიპატიჟებულნი იყვნენ ბ-ნ ქ—სთან სადილათ. სადილის შემდეგ ხ—ძეს იქვე დასძინებოდა და თითქმის ათი საათი იქნებოდა, რომ სრულიად ფხიზელი წამოვიდა იქიდან და მოვიდა ზემო აღნიშნულ მ. სარდაფში, სადაც ოთახის გასაღები ჰქონდა დატოვებული. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ხ—ი, როგორც უცოლშვილო კაცი, ოთახის გასაღებს სტოვებდა აღნიშნულს სარდაფში მეორე ამხანაგისთვის, რომელიც იმასთან სცხოვრებდა. ე. ხ. აღნიშნულ დროს ჩავიდა პირველად ს. ღ. სარდაფში, და უკანა კარებიდგან გავიდა მ. სარდაფში, და აი ამ დროს ათი თუ თერთმეტი ოსი ჩაცვივდნენ სარდაფში, რადგან, ეგონათ, რომ იქ მოიცდიდა იმათი მსხვერპლი, მაგრამ მოსტყუვდნენ. იქიდგან გამობრუნებულნი დაუწყეს ძებნა თავის მსხვერპლს, რომელსაც კიდეც მიაგნეს მ. სარდაფში მისვლისა თანავე დაუწყეს ცემა ხ—ს, რომელიც მაშინათვე გულშემოყრილი დასცეს ძირს წაართვეს ერთად ერთი მისი ოქროს საათი და ერთად ერთი იარაღი, რევოლვერი
(ხანჯალს არ ატარებ. ხ.), რომე
ლიც წართმევის დროს გავარდა
ერთი ოსთაგანი დაიჭრა ბარძაყშ
როდესაც ისინი თავის მსხვერპლ
ადგნენ თავზე ამოღებულის ხანჯლ
ბით, ამ დროს ერთმა მოსამსახურ
თაგანმა შეატყობინა ეს ამბავი ბ
ქაულს, რომელიც მყისვე მოიჭ
მაგრამ მანამ სარდაფში ჩავიდოდ
წინ შეხვდა მოთავე ამ უწესობ
მისივე გერი (რომელიც აქ იმით
ცნობილი, რომ ამას წინედ ქალ
მოიტაცა დ. ხაშურში). გერმა უ
ხრა: არაფერია, მამილო, ჩვენი მ
კვლა უნდოდა და თითონ ჩაგვივარ
და ხელში. ბოქაულმა ოსები გაი

ქალების საყურადღებოდ.

ქალის აზრი ქალებზე.

(გაგრძელება. იხ. „ცნ. ფურ.“ № 88).

ამ XIX საუკუნეში განათლება მეტად გავრცელდა, კაცთ-მოყვარული აზრები დაიბადენ, მაგრამ კაცობრიობის ეკონომიური მდგომარეობა კი ისევ სავალალოა, მწვავე კითხვაა. ქვეყანამ დაიწყო ღაღადი და ქალებიც ჩაერივნენ; თან-და-თან ხმა-მაღლა გაიძახოდნენ: ჩვენც მოგვეცით უფლებები და გვაშრომეთო. თავდაპირველად ქალებმა, რასაკვირველია, მეცნიერების გზას მიმართეს. ღმერთი ცოდნის ტაძარში დაინახეს და თან ამ ცოდნის შედეგსაც, მატერიალურად დამოუკიდებლობას, საკმეველი უკმიეს. სხვას აღარას ხედავდნენ, განქრა ზნეობა, სათნოება სადღაც მიიმალა. ქალებმა წარმოიდგინეს, რომ ჩვენ მშვენიერები და კეთილები ვართ, მეცნიერების მეტი სანატრელი აღარა გვაქვს რაო...

ამ გვარად საყოველთაოდ დაარსდა ეს „ქალების კითხვა“—ცოდნის სურვილი, უფლებების მოპოვება!..

მაგრამ, ვერავითარი ცოდნა-განათლება ვერ შეაჩერებს ცუდს, უმართლო და კუდაბზიკა კაცს, რომ თავის პირადი სარგებლობა მიატოვოს და საზოგადოს ემსახუროს. ვსთქვათ, ქალებს პირადი სარგებლობა არ აქვსთ თავის იდეალად მოხსენებული, მაგრამ ესენი მაინც ნაკლებ იქნებიან პატივცემულნი, მომავლისაგან არ მიიღებენ მადლობას და ხსენებას ისე, როგორც ისინი, ჩვენი დიდ-დედები, რომელნიც გაუნათლებელნი ჰკუით, მაგრამ წმინდის გულით და ფაქიზი ხელებით ღვთიურს ნაპერწკლებს ოჯახის კერას უმატებდნენ და იქვე მიმსხდარნი ბამბას ართავდნენ!!.

ქვეყნად ყოველივე მამა-კაცებმა შექმნეს! შრომით, ჯაფით და ოფლით მოატანეს ამ საუკუნეს და მოიტანეს თან ცოდნა, ხელოსნობა, ხელოვნება, მეურნეობა და სხვ.— მხოლოდ კეთილი, სათნოება, სიყვარული, სამართლიანობა და ზნეობა კუდ-მოკვეცილი მოიტანეს იმიტომ, რომ დრო და სახსარი არ ჰქონდათ ყველა ესენიც მამა-კაცებს მოეპოვათ და ჩვენთვის მოეცათ... კაცობრიობის ზნეობისათვის აქამდე ზრუნავდა რელიგია და სხვა-და-სხვა ფილოსოფოსთა სწავლულება.. ბევრი წამებული შეიქნა ამ ზრუნვაში, ბევრი ცეცხლში დასწვეს, ჩამოაღრჩეს, ჯვარს აცვეს... ზნეობას ჰქადაგებდნენ ეკლესიებში, ქალაქად, ველად, უდაბნოებში და განა მივაღწიეთ-კი რამე?

არა, არა! კიდევ სიბნელეა ჩვენს გარეშემო, კიდევ უნამუსობა, სიბინძურე! ოქრომ, ლითონმა დაიმონავა ცისქვეშეთი, პოეზია გაშიშვლდა და კანკანს ცეკვავს; მწერლობა ვნებებს მისდევს და ვნებაც ყველას და ყოველივეს მოედვა!.. გახშირდა თავის მოკვლა... ბავშვებიც კი თავს იკლავენ...

ყოველივე ასე ხდება, თუმცა მეტად რომ არ გავაზვიადოთ—უნდა მოვიხსენიოთ ისიც: ამ საუკუნეში კიდევ ცოტათი ბჟუტავს კეთილისადმი მისწრაფება, იდეალი, მაგრამ ვაი ის არის, რომ ამ მისწრაფებას, იდეალს უკიჟინებენ, დასცინიან და ისინიც ხოხობსავით თავს იმალვენ...

ასეთ უნუგეშო, ბნელს სურათს გვიხატავს გამოჩენილი მწერალი-ქალი. იმასა სურს, ეს სიბნელე განიფანტოს, ამობრწყინდეს შუქი, ამ შუქმა მოჰფინოს ნათელი მთელს მომავალს XX საუკუნეს. „იმ ბნელ წყვდიადიდგან, სადაც ბუდეა ათას წლის ჭირისა, კაცობრიობის ბოროტებისა, მსურს აღსდგეს მანდილოსანი შუქ-მოფენილი, მაღალის სულით, ნაზისა გულით, ჭკუიანი, კეთილი, მგრძნობიერი და თან მუშაკი!.. აღმოფხრას მან ქვეყნად ფესვი მძულვარებისა, შურისა; ნაცვლად ამისა დასთესოს სიმშვიდე, კაცთ-მოყვარება და ერთობა. ერთის ხელით მან უნდა დაამხოს ტახტი ოქროს ბომონისა, მეორით დაამსხვრიოს ხმალი და დაშნა, სიცოცხლის მომსპობელი იარაღები... მრავლდებიან, მრავლდებიან—ასეთნი მანდილოსანნი, ყველგან მათ ვხედავთ. ბავშვის აკვანთან, ყმაწვილ-მოხუცთან, ყანებში, სადაც მუშაკთა ოფლი ილვრება, მყუდრო ოთახში მეცნიერთან, რომელიც ქვეყნის საიდუმლოებას ნათელსა ჰფენს თავის გამოკვლევით... ვხედავთ ჩვენ იმათ ოჯახის კერასთან, სკოლებში, ქარხნებში, მხატვართა დარბაზში, მწერლებთან ერთად მომუშავეთ! ყველაფერში წილ
უდევთ, ყოველივე ესმით, მზა.ა არ
ან ყოველს და ყველას ხელი დახმა
რებისა გაუწოდონ. კაცობრიობაც
დამშვიდებული, გაპედნიერებული ა
გვარ მანდილოსანთაგან, ლოცავ
მათ, საქმით და სიტყვით ადიდებს

ელიზა ოჟეშკო ურჩევს ქალებს—
მთელი მათი ძალ-ღონე მოიკრიფონ
სწერონ, საზოგადოებები შეადგინონ
იქადაგონ, რომ ცოდვილი ქვეყა
განაახლონ, და კაცობრიობაც მომა
ვალ საუკუნეს ბედნიერს უწოდებს

„ჩვენ ყველანი, კაცნი და ქალ
ნი—შვილნი ვართ ერთ მიწისა, ერ
თისა მზის, საწყალნი ბავშვნი, რო
მელთა თავზედ ცეცხლის ასოები
ჯამოსახულია: „კაეშანი, ცოდვა
სიკვდილი“! აი... ამ ვარამ სიტყვე
ბისა გამო, შეიკრიბეთ, შვილნო
ერთის მიწისავ, ერთისა მზის—მივე
ტევოთ ცოდვანი ერთი ერთმანეთ
და ხელი მივყოთ საერთო, ქვეყნი
განახლებისათვის ოფლის ღვრას,
ღვაწლს და მუშაობას“!...

ამ წმიდა სიტყვებით ათავებს პო
ლონელი მწერალი ქალი თავის წე
რილს, რომელმაც გაცოცხარი შთა
ბეჭდილება მოახდინა მთელს კრე
ბაზედ.

ეროვნული

რინა. დღემდე ყველა ეს ოსები თავისუფლად დასეირნობენ და კიდევ მუქარას უთვლიან ხ., რაც დაგაკლდა აწი შევისრულებთო. ყველა ეს ოსები, გარდა სამისა, უსაქმურად დაიარებიან და მათი შიშით, რომ დაღამდება ქუჩაში ველარ გავივლით. ამბობენ ხ. და ერთ იმ ოსთაგანს გვარად კადიევს ამ ორი წლის წინათ რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ ერთმანეთში; ის ოსი მაშინ რკინის გზის კონდუქტორათ იყო და დღეს-კი უსაქმურათ დაიარება.

⁂ **კიევის პოლიტეხნიკუმი.** 11 იანვარს მომხდარ კრებას ქ. კიევში ბ-ნმა სოლსკიმ მოახსენა, რომ ფინანსთა მინისტრი დასთანხმდა კიევში პოლიტეხნიკუმის დაარსებაზედ. შემდეგ კრებამ აირჩია ორი კომისია, სატეხნიკო—ბ-ნ ნემეშაევის თავმჯდომარეობით და საფინანსო ლაზარ ბროდსკის თავმჯდომარეობით. პოლიტეხნიკუმის ასაშენებელ კომისიის თავ-მჯდომარედ არჩეულ იქმნა გენერალ-გუბერნატორი გრ. იგნატიევი და საპატიო წევრად კიევის გუბერნატორი.

⁂ **ექვთიმე ხელაძის წერილი.** ე. ხელაძე სწერს გაზეთს „ნოვ. ობოზ“. ეს ჩემი საჩივარი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ფოთელ ზოგიერთ მსესხებელზედ, იმიტომ კი არ მოისპო, რომ მე მტყუანი ვარ, არამედ იმიტომ, რომ საქმე თურმე ფოთის სასამართლოს კი არ ექვემდებარება, არამედ ტფილისისაო. რაც შეეხება ქ-ნ ე. დ—ს საჩივარს ჩემზედ, საქმის გარჩევა უჩემოდ მოხდა და მხოლოდ მეორედ რომ გაირჩევა, მაშინ დამტკიცდება, ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი.

⁂ **სახალხო წიგნები.** მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ცოტა ხანში გამოსცემს სახალხო დასურათებულ წიგნებს, სხვა და სხვა ხელობისა და შინაურ მრეწველობის შესახებო.

⁂ **ნავთის ქურდობა ჭურით.** სადგურ აჯამეთზედ, თურმე, ნავთს იპარავდნენ ბაქოდგან მიმავალ მატარებლიდგან. ეს ქურდობა აღმოაჩინა ჟანდარმმა სემერნიკოვმა, რომელმაც რკინის გზის მეისრის ფარდულთან ჭური იპოვნა ნავთით სავსე. თურმე ქურდები ნავთს იპარავდნენ მატარებლიდგან და ჭურში ასხამდნენ. ჟანდარმმა ყოველივე ეს დეპეშით აცნობა თავის უფროსს ქუთაისში და მოპარულ ნავთით სავსე ჭური დაბეჭდა.

⁂ **ქუთაისი. საბჭოს კრება.** 17 იანვარს საბჭომ შემდეგი საგნები განიხილა: სადორიას იჯარით გაცემა. ზოგი ხმოსანი ამტკიცებდა, სადორია პატარ-პატარა ნაწილებად დავყოთ და იჯარით გავცეთო, უმრავლესობა არ დასთანხმდა ამაზედ და საქმე კომისიას გადასცეს განსახილველად. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, მიეცეს ბ-ნ ანჯაფარიძის საქსოვ სკოლას 600 მანათი. დასასრულ კრებამ განიხილა მცირე წლოვან დამნაშავეთა სახელოსნოების დამაარსებელ საზოგადოების თხოვნა, შემწეობა რამ აღმოგვიჩინეთო; კრებამ გადასწყვიტა: ამ საქმის შესახებ ჯერ საჭირო ცნობები შევკრიბოთო.

ამ კრებაზედ ქალაქის მოურავის მოადგილეთ არჩეულ იქმნა გამგეობის წევრი ა. გაბაშვილი, 30 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 1 ხმისა („ნოვ. ობოზ.“).

⁂ **სიღნაღი. საქველ-მოქმედო ბალი.** ამ თვის თოთხმეტში ბალი იყო გამართული ახლათ დაარსებულ სიღნაღის საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ ბალის დიასახლისობა იკისრა ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა შანშიევისამ. ბალს დაესწრო მრავალი საზოგადოება, როგორც სიღნაღისა, ისეც სიღნაღის მაზრიდამ. ბევრნი იყვნენ სხვა ადგილებიდანაც მოსულნი, ბალი დაიწყო 9 საათზე და გასტანა დილის 6 საათამდე. ბალმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. ამ ბალში თავი იჩინა ჩვენებურის ლეკურის თამაშით სოფიო ივანეს ასულმა ყავრიშვილისამ და მთელი საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოიყვანა. დამსწრე მანდილოსნები და ახალგაზდობა მშვენივრად იყვნენ ჩაცმულნი და ბევრნიც სანაქებოდ მოკაზმულნი. დიდი მადლობის ღირსია ბალის დიასახლისი ე. ა. შანშიევისა, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ამ საქმეში. შემოსავალიც, როგორც ამბობენ, კარგი იყო.

⁂ **თელავი. აქაური რამე-რუმე.** ვერაფერი დასაწყისი აქვს ამ წელს. პირველსავე კვირას თელავში შემდეგი უბედურება მოხდა: პირუტყვსავით ერთ კაცს თელაველმა „ძმაბიჭმა“ ყელი გამოსჭრა. ერთს მოქალაქეს ხითაროვს ოთხი წლის ვაჟი წყალში დაეხრჩო. გასაკვირალია, რომ თელავში მდინარე წყალი არ არის და მაინც ასეთი უბედურება ხდება. ხითაროვს ეზოში წყარო აქვს. წყაროს წყლის ამოსაღებად აქვს გაკეთებული კარგა მოზრდილი ორმოსავით მოთხრილი მიწა. ბავშვს ლულეინი ჩამოეტანა წყლის ამოსაღებად ორმოიდამ და წყლის ამოღების დროს შიგ ორმოში თავ-დაყირა ჩავარდნილიყო. ბავშვი სწორედ მაშინღა ამოიყვანეს ორმოდამ, როცა უბედური უკვე დამხრჩვალიყო.

ერთს თელაველს ხარაზს თავის სადგომიდამ ახლად მიღებული ტფილისიდამ 400 მან. მასალა მოჰპარეს და მერე იცით როდის!.. პირველ ღამის ცხრა საათზე. ამის გარდა ამ წლის პირველსავე კვირას დაეწვა ს. იარალოვს გომური და საბძელი.

ამ შემთხვევებმა მაინც არის მიაქციოს ყურადღება თელავის ახალ მეთვალყურე-მეპატრონეებისა და მომავალში ამგვარი არა სასიამოვნო მოვლენა აშორონ ქალაქს.

⁂ **მოსამსახურეთა ამხანაგობის შესახებ.** ჩვენ მოგვივიდა იოსებ ხადურისაგან შემდეგი წერილი:

მადლობას ვუძღვნი ალექსანდრე თოიძეს, რადგანაც მან ინება ჩემ წერილზედ პასუხის გება. ვგონებ, ა. თოიძე გულ შემატკივარი კაცი ყოფილა, რომ მოსამსახურეთა ბედ-იღბალზედ სიტყვა ჩამოაგდო. ა. თოიძე მოგახსენებთ: ნუ თუ არ შეიძლებოდაო, რომ მიგვეწერათ საზღვარ-გარეთო. რად გინდათ, ბ-ნო საზღვარ-გარედ სიარული და მიწერ-მოწერა, როდესაც აქავე შეიძლება ამ საქმის მოხერხება. ამას უნდა მხოლოდ ერთი პირი და ერთმანეთის თანხმობა.

ვიმეორებთ, წელიწადში რომ 3 მანათი მზარეულმა გამოიღოს და ორი მანათი ლაქიამ, ერთი მანათიც სხვა პატარა მოსამსახურემ, კარგა ფული შესდგება.

შესაძლებელია ზოგმა წელიწადში სამ მანათის მაგიერ სამი თუმანიც შეიტანოს. ფული ხომ არ დაიკარგება. როცა მოგროვდება საკმაო თანხა, მაშინ ვითხოვოთ მთავრობასთან ნება-რთვა. იმედია, მთავრობაც ხელს არ შეუშლის ამისთანა საქმეს. მერე ამოვირჩიოთ ვინმე მცოდნე საქმის მმართველად. ავწეროთ ყოველ სახლში მოსამსახურენი, გამოვართვათ ფული და მივცეთ კვიტანციები. ფული უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ბანკში. ხუთის წლის ვადით. შემდეგ ავიღებთ ამ ფულსა და გავხსნით გამსესხებელ კასსას, *) როგორც აქვთ სხვებსა და ვასარგებლებთ ამ ფულს, 7-დგან 8 კაპეიკის სარგებლით. წლის თავზედ რომ ვიანგარიშებთ, ხარჯს გავალთ, და რაც მოგება დარჩება, ყოველივე გაენაწილებათ, ვისაც რა ექნება შეტანილი, თუ უნდა, მოგებას წაიღებს, თუ არა თავნს მიეწერება.

გაივლის რამდენიმე წელიწადი, ცოტა ბევრად გახდება, თქვენი შეტანილი 15 მანათი, 10 მანათი და 5 მანათი ფულად გარდაგექცევათ. ამითი ასცდება ჩვენს მოსამსახურეთა ბედ-იღბალს ყოველივე ჭირ-ბოროტება. იმედია, ჩვენი ახალგაზდა მოსამსახურეები ზურგს არ შეაქცევენ ამ ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმეს. გარეშე პირნიც მრავალნი არიან ამ საქმის მოწადინებულნი.

⁂ **ლიკორწმინდა. (რაჭა) უწისქვილობა.** სოფელს ლიკორწმინდას წისქვილის სიშორისაგან არა მცირეს შევიწროებაში იმყოფებოდნენ მცხოვრებნი, დასაფქველათ უნდა წაეღოთ ქირნახული ანუ ხორბალი ოთხი ვერსის სიშორეზე; ამ საჭიროების შესასუბუქებელათ სოფელს გამოუჩნდა ერთი კაცი, რომელმაც მოინდომა გაემართა უწყლოთ ქარის წისქვილი. უწისქვილობით შევიწროვებულნი მცხოვრებნი დიდის აღტაცებით მიეგებნენ ამ ამბავს.

წისქვილის კეთებას შეუდგნენ 1895-ს წელს, შეასრულეს 1896-ს წელს და ყველას უხაროდა, ძლივს გვეღირსა წისქვილიო, მაგრამ თქვენს მტერს, როგორც უიმედოთ ისინი დარჩნენ. გაკეთდა თუ არა წისქვილი, მაშინვე ამოსკდა მძლავრი ქარი და ქარის წისქვილს სულ ერთიანად ფრთები დაამტვრია და გააუქმა, ასე რომ ქარის წისქვილი მართლაც ქარისა შეიქმნა და არა სოფლის სასარგებლოდ. ნათქვამია, ქარის მოტანილი ქარმავე წაიღოო, სწორედ ასე მოუვიდა ხსენებულ წისქვილსაც იმ დალოცვილებს გაუგონიათ, რუსეთში ქარის წისქვილები არისო და ის აღარ იფიქრეს, თუ ლიკორწმინდელმა ქარმა არც რუსული იცოდა და ვერც რუსეთული ქარივით ამუშავებდა წისქვილს ზომიერათ. ეხლა დარჩნენ მცხოვრებნი ისევ წინანდელ ძალზე მოშორებულ წისქვილის ამარა.

⁂ **ს. ბოდბისხევი.** (სიღ. მაზრ.). **აქაური ამბები.**—

— წელს ჩვენსკენ მშვენიერი ზამთარია, მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, ეხლავე მშვენივრათ არის ნახნავებში ჯეჯილები გადამჯდარი. ამ მოსავლის იმედს მეტად შევხარით.

— სამწუხაროდ, ჩვენს მინდვრებში თაგვი გამრავლდა საშინლად, მაგალითად, წინამხარში, უკანა მახარში, შირაქში, და მილარზედაც. ასე გამრავლდა, რო საღამოს კაცმა რომ გაიაროს, ისეთ ხროვა ხროვას მიადგება თაგვებისას, რომ ეგონება საქონლის პატივზედ ჩიტების გუნდი დამსხდარაო. თუ გულ შემატკივარი არავინ გამოგვიჩნდა, წარსული წლებისაგან დაჩაგრულებს დამდეგი წლის მოსავალსაც თაგვი გამოგვაცლის ხელიდან, და ჩავცვივდებით უფრო უკიდურესს მდგომარეობაში.

— ჩვენი ხალხი შინაურ ქურდბაცაცებისაგან ისე იყო შეწუხებული, რომ მოთმინებისაგან გამოვიდა და ამ იანვრის პირველ რიცხვებში ორ კაცს შეუყენა განაჩენი ციმბირში გასაგზავნათ, რომელნიც ეხლავე შეიპყრეს და გადასცეს მაზრის უფროსს. ვნახოთ ამ მაგალითით სხვებიც შეშინდებიან და მოგვასვენებენ დღეის იქით თუ არა.

⁂ **ს. მამათი** (ოზურგეთის მაზრა). შეწირულობა. ჩვენ მივიღეთ მღვ. კალისტრატე ხელაძისაგან შემდეგი წერილი: მადლობას ვუცხადებ ჯიმშეთი გრიგოლის ძე ლომაძეს და ბართლომე ალექსის ძე კილაძეს, რომელთაც შემოსწირეს მამათის წმ. იაკობ მოციქულის ეკკლესიას შემდეგი ნივთები. ჯიმშეთი ლომაძემ ეკკლესიაში ჩამოსაკიდი დიდი ხომლი და ერთი წყვილი ტრაპეზზე დასადგმელი ახალი ვერცხლის შანდლები; სულ ღირებული 25 მანათად. ბართლომე კილაძემ ერთი ცალი სვეტი-ცხოვლის ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკკლესიისა“, ღირებული 1 მან. და 50 კაპ.; შემპირდა აგრეთვე ხატის ჩარჩოში ჩასმას. ორთავემ ამით შეამკეს ეს ღარიბი, მაგრამ ძველთაგან არსებული ეკკლესია.

შემოწირულობა ესე მოხდა ამ რიგად: ჯიმშეთი ლომაძემ ექვსის ამხანაგებით და ლუკა ჩხარტიშვილის თაოსნობით იმოგზაურა ამერიკაში და სხვა უცხო ქვეყნებში წარმოდგენებში სათამაშოთ. წასვლის წინად მთხოვა წირვა და პარაკლისი მშვიდობიანად მოგზაურობისათვის; დიდათ სასიამოვნოთ დამრჩა, როცა ამისთანა კეთილი მიმართულება დავინახე; მაშინვე შევუსრულე წირვა და პარაკლისი. აღმითქვა, როცა დაბრუნდებოდა ამერიკიდან, შემწეობას აღმოგვუჩენ ეკკლესიასო და შეასრულა კიდეც.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ლუკა ჩხარტიშვილს, რომლის თაოსნობით ყოველ წლობით მოგზაურობენ ამერიკაში შვიდამდე ყმაწვილები, წელსაც ემგზავრება წასასვლელად და აღმითქვა, ამერიკიდან მობრუნებისათანავე მოგვაგროვებ ამხანაგებში ას მანათამდე ფულად, ანუ ნივთიერად შესაწევნელად მამათის ეკკლესიისათვისაო. ღმერთმა ჰქნას აღასრულოს ეს, ლუკა ჩხარტიშვილის დაპირება ისე, როგორც ჯიმშეთი ლომაძემ უტყუარათ შეასრულა თავისი სიტყვა.

რკინის გზის ამბები.

სად. აბაშა. 19 იანვარს ფოთიდან მომავალ მატარებელ № 14-იდამ, 3 კლასის ვაგონიდგან ჩამოვარდა მგზავრი გლეხი ლონგინოზ დავითიანი და მარცხენა თეძო მოსტყდა. დაშავებული მიიყვანეს აბაშაში და იქიდან ნათესავებმა წაიყვანეს კერძო ექიმთან სოფელში.

—

სად. ჯუმათი. 19 იანვარს, საღამოს ათს საათზე, მეისრის ბუტკას ვიღაც ბოროტმოქმედთა ესროლეს თოფი, ტყვია ბუტკას მოხვდა, რომელშიაც იყო მეისრე, აფხაზავა, რომელიც მარტო შეშინებით გადარჩა.

—

სად. მინგეჩაური. 19 იანვარს ევლახის სადგურიდგან მომავალ მატარებელ № 47-ზე შემოხტა ორი თათარი, ერთი ავიდა სულ უკანასკნელ ვაგონზე, რომელიც არყით იყო დატვირთული და გატეხა კარები. მეორე ავიდა შემდეგ ვაგონზე, რომელზედაც იყო კონდუქტორი ქვემოკლიძე. თათარმა დაუწყო ფულის თხოვნა და რევოლვერით აშინებდა. კონდუქტორმა 23 კაპეიკი მისცა და უნდოდა იარაღი წაერთმია, მაგრამ ამ დროს თათარმა რევოლვერი დასცალა და კონდუქტორი დასჭრა მარცხენა ხელში. თათრები გაიქცნენ, დაჭრილი კონდუქტორი განჯის სადგურზე გაგზავნეს.

—

სად. ყარაბუჯახი. 18 იანვარს მატარებელი № 37 სამოცდაორ დატვირთულ ვაგონით სწრაფად შემოვიდა სადგურში, გადაჭრა შემოსვლის ისარი და პირდაპირ მომავალ მატარებელ № 22 მიდიოდა, შეჯახება აღარ მოხდა, რადგან დროზე კონტრ პარით გააჩერეს და მატარებელი № 22 უკან დასწიეს.

—

სად. ყვირილა. 20 იანვარს, ღამის მეორე საათზე, მანევრის დროს, მეისრე სოფელ საქარის მცხოვრები ალექსანდრე სპირიდონის ძე ყოჩიაშვილი ორ ვაგონს შუა მოჰყვა და მარჯვენა მხარი იტკინა. ექიმმა გაშინჯა და თბილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

თეატრის მატიანე.

ქართული თეატრი. გუშინ-წინ წარმოდგენილ იყო ქართველ არტისტებისაგან გ. გუნიას 5 მოქმედ ისტორიული დრამა „და ძმა“. უმთავრესს როლებს ასრულებდნენ ისევ ის არტისტები, ვინც ამ ხუთის წლის წინედ თამაშობდნენ ამავე პიესაში. კ. ყიფიანი (ოტია ჯოლია), ბ. ავალიშვილისა (მარინე), სვიმონიძე (გაიოზ ფაღავა) ჩვეულებრივის ხელოვნებით თამაშობდნენ. ბ-ნ გამყრელიძემ ადამიას როლი დიდის გრძნობით და დაკვირვებით შეასრულა და საზოგადოებასაც მოეწონა; ბ-ნ მჭედლიშვილი გიორგის როლში მეტად მხიარული იყო, ცოტაოდენი სიდინჯე უფრო მოუხდებოდა. ხორომ საუცხოვოდ შეასრულა თავისი საგალობლები. პიესას ეტყობოდა გულდასმით მომზადებინათ, მაგრამ სცენის მოწყობილობა კი ვერ იყო ჩვეულებრივად. ხალხი ბლომად დაესწრო.

—

კ. ყიფიანის ბენეფისი. ოთხშაბათს, 22 იანვარს, დანიშნულია ჩვენი თეატრის უხუცესი და ნიჭიერის მოღვაწის კ. ყიფიანის ბენეფისი. წარმოდგენილ იქმნება შექსპირის ტრაგედია „ვენეციელი ვაჭარი“ (შეილოკ). ეს პიესა ნათარგმნია ნეტარ ხსენებულის დიმიტრი ივანესძე ყიფიანის მიერ მშვენიერის ქართულის

---

*) ჩვენ არ ვეთანხმებით ამ სურვილს. რისთვის დაგჭირდათ ეს გამსესხებელი კასსა? ისევ თქვენს წევრებს ასესხოთ ფული და სარგებელი გამოართვათ? ამისათვის ქალაქის ლომბარდი არსებობს, რომელსაც თქვენ კონკურენციას ვერ გაუწევთ. საჭიროა, დაეხმაროთ თქვენ გაჭირვებულს ამხანაგს, რომელსაც დასაგირავებელიც კი არაფერი აქვს, თორემ, თუ ჰქონდეს, დასაგირავებელს ალაგს ადვილად იშოვნის. თუ არ იშლით, ისევ ეგრედ წოდებული მოსამსახურეთა „ბიურო“ დააარსეთ და ამით უადგილოდ დარჩენილს ამხანაგს ადგილს უშოვით, რადგანაც ყველა თქვენ მოგმართავთ. რედ.

ენით. დასასრულ დაიდგმის ახალი ვოდევილი „უბედური დღე“ ბალანჩივაძისა. იმედია, რომ ქართველი საზოგადოება გ. ყიფიანის ბენეფისს ჩვეულებრივის თანაგრძნობით დაესწრობა.

გამოსადეგი ცნობა

ბუზების გასაძევებელი წამალი.

ბუზები სახლის ავეჯს ძალიან სვრიან, ამიტომ იმათი გასაძევებელი წამალი ძალიან საჭიროა ყველა ოჯახისათვის, რომ ავეჯი სუფთად ინახებოდეს და თავისს ფერს არა ჰკარგავდეს ბევრის რეცხვა-წმენდისაგან. ამასთანა წამალი შემდეგია, რომელიც ბუზებს ჰხოცავს და ადამიანისათვის-კი უვნებელია.

აიღეთ თეთრი პილპილი 1 ჩაის კოვზი, დანაყილი შაქარი 1 ჩაის კოვზი, ნაღებიც 1 ჩაის კოვზი. ყველა ეს კარგათ აურიეთ, ლამბაქზედ დაასხით და ყველა ოთახში დადგით.

ამის მაგიერ შეიძლება იხმაროთ მაგარი ჩაი, ცოტათ დაშაქრული. აგრეთვე ესეც კარგია: დაასხით მდუღარე წყალი კვასსიას (квассiй) და შიგ გაურიეთ ერთი ჩაის კოვზი ლაუდანი (лауданъ),—ბუზები გამკვდებიან.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება ერთ სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქისა სოლომონ აკოფას-ძე კუხიევისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა 21 1/2 ოთხ-კუთხი საჟენი. დაფასებულია 216 მანათად.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაევისა, რომელიც იმყოფება სოფ. ხმელტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. ჩანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) კნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა 1/76 ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ეგნატია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით სავანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩელიძისა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

განცხადებანი

კბილის ექიმი
ვ. ი. ჯიჯინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21,
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3
და საღამოს 4—7 საათამდე.

ქარხანა მანქანების და თუჯის ჩამოსასხმელი
ინჟინრების
იარალოვისა და ალიხანოვისა
ტფილისში.
მუდამ ქამს ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას.

НАСОСЫ
центробѣжные, Летестю
и др. рекомендуетъ
Машино-строительный, чугунно-литейный и котельный заводъ
инженеровъ
ЯРАЛОВА и АЛИХАНОВА
въ Тифлисѣ.
(100—1)

Магазинъ
О. ЗИБЕРТА
Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Kº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ
серебрянныя вещи фабрики Мюллеръ въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ и т. под., *Мельхіоровыхъ вещей*, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—15)

1897 Г.
ОТКРЫТА ПОДПИСКА НА
„ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“
съ безплатнымъ приложеніемъ

„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю: по воскресеньямъ и четвергамъ.

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою **СЕМЬ РУБ.** Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—**4 р.** и къ 1-му апрѣля—остальные—**3 руб.**

(Адресъ: С.-Петергургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1)

Программа: Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго таконодательствъ.—Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія.—Рисунки и иллюстраци къ тексту статей на общемъ основаніи.—Вѣсти и слухи —Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія Правительств. Сената.—Отчеты о судебныхъ засѣданяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собр. узак и распор. прав.).—Списки дѣлъ назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными. возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ подписчики, **внесшіе полную годовую плату за газету**, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ.

(6—5)

ახალი სასტუმრო
არარატი
დაბა დელიჟანში.
კარგად მორთული ნომრები და საუკეთესო ბუფეტი.
ყარსში მიმავალი მგზავრები და ახალ რკინის გზის იჯარადრები უკეთესს ადგილს ვერ იპოვნიან დელიჟანში ღამის გასათევად.
ფასები ძლიერ იაფია
სასტუმროს პატრონი ბესარიონ ი. შაფაქიძე.
Новая гостиница „АРАРАТЪ“, въ уроч. Делижанъ.
Цѣны умѣренныя.
Содержатель В. И. Шапакидзе.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
„კვალი“
გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანათათ, ხოლო გაგზავნით 8 მანათ. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანათ. სამის თვით გაუგზავნელად 2 მანათ., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამშაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში—არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიმართონ ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბეჟანიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათომში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ. მიქაბერიძეს.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კობრეიძეს.—მიხაილოვაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიონეთში: ივ. ჩიბალაიშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს.—ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

რედაქციისაგან.

ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ახალ წლისათვის, ხელის მოწერის წინათ, ჰპირდებიან გამოცემის გაუმჯობესებას გარეგნივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი აღსრულება სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ჩვენ ვაუწყებთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას მართალია წრეულს დაუგვიანდება პრემიის დარიგება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას იხმარს პირ-ნათლად გამოვიდეს ხელის-მომწერლების წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პროგრამის გაფართოებაზე უკვე დართულია ნება; ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა სრული, ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მსგავსად, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭირ-ბოროტო კარამზედაც.

წელსაც ყველა თანამშრომლებმა აღგვითქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება გარეგნივ გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქცევს ყურადღებას: ჩვენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ლონდონიდან, პეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გვაქვს შტუტგარდიდან, ხოლო ტფილისში შეუძლებელია ხეირიანი ნახატების დაბეჭდვა, რადგან ჩვენი ცხოვრების მცოდნე მხატვრები თითქმის არა გვყავს და ლიტოგრაფიასაც ხშირად უფუჭდება სურათები.

მომავალ 1897 წ. „კვალის“ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების,—აღწერით.)

(3—3)

1897
„მოამბე“
თვიური ჟურნალი
(წელიწადი მეოთხე)
გამოვა იმავე პროგრამით
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . .	**10** მან.	**6** მან.	**4** მან.
საზღვარ გარედ	**13** მან.	**7** მან.	**5** მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური**, ხოლო თუ ფულს ნაწილ ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

შენიშვნა. 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ **ფულის მიღებას კვიტანცია** გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакці* **Моамбе“.**

(6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Января 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.